

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გაწეული საქმიანობის
(მუშაობის) შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დავით გახაჩია;
თანამდებობის დასახელება - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ფრაქციის დასახელება - „კონსერვატორები-წევრი“;
კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია;
2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - N67 საარჩევნო ოლქი;
საანგარიშო პერიოდი 2018 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 1 ივლისამდე;
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 4;
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 4;
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 9; მ/შ დროებითი კომისიების - 0; კომისიის სხდომებზე დასწრება - 9; მ/შ დროებითი კომისიების - 0;
3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 4;
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 4;
4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
 1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის თაობაზე“;
 2. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსის და ფიცის დამტკიცების შესახებ“;

3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

4. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“;

5. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

6. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ქონების გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“;

7. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და მვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

8. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

9. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“;

10. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე ცვლილების შეტანის შესახებ“;

11. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ჩიქავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

12. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების განთავსების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

13. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის N4 სასაფლავის ნაწილისთვის (2000 კვ.მ.) პანთეონის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 11 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 56;

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები - უნივერსიტეტის შენობაში კანალიზაციის მოწესრიგება, ავიაციის ეზოში წყლის ნასოსის გამოცვლა. ჩიქოვანის ქუჩაზე ორმული შეკეთება, დასაქმების პრობლემა, მოქალაქეს, რომელსაც შეუწყდა სოციალური დახმარება, ესაჭიროება ხელახალი გადამოწმება, შიდა გზების რეაბილიტაცია, წყალარინება და სხვ;

8. აქტივობა: მიმდინარე წლის 9 აპრილს ფაიფურის დასახლებაში ჩატარდა ოთარ გაბელიას სახელობის მინი ტურნირი ფეხბურთში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

შეესების თარიღი 1.07.18

წარდგენის თარიღი 10.04.18

ხელმოწერა

